პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 244 (3474)
17
1967 წ.
დეკემბერი.
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ახალი ამბები

● **მოსკოვი, 15 დეკემბერი.** ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დაიწყო უნგრეთის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ფიგურული სრიალის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა სრიალში I ადგილი დაიკავეს ახალგაზრდა ლენინგრადელებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა. მომდევნო ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები არიან: ლ. სუსლინა და ა. ტიხომიროვი, გ. კარელინა და გ. პროსკურინი. მათ ჩამოიტოვეს სამი უცხოური დუეტი. სპორტულ ცეკვებში კარგად გამოვიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ი. გრიშკოვა და ვ. რიჟკინი. ისინი ლიდერობენ ორი ცეკვის შემდეგ. II ადგილზე არიან ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, III — სტუმრები ა. ბაიერი და ე. რიუგერი (გდრ).

● **ბეირუთი, 15 დეკემბერი.** დაშნით ფარიკაობის საბჭოთა ოსტატები გ. კრისი და ა. ნიკანჩიკოვი I-II ადგილებზე გავიდნენ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ფინალში ორივემ 4-4 გამარჯვება მოიპოვა. მათს დამატებით ორთაბრძოლაში იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კიეველმა კრისმა, რომელმაც ანგარიშით 5:3 დაამარცხა თავისი ძველი მეტოქე და მეგობარი, მსოფლიოს ჩემპიონი, მინსკელი ნიკანჩიკოვი. III ადგილზეა ცნობილი ავსტრიელი მოფარიკავე რ. ტროსტი, რომელიც სულ ახლახან თანამედროვე ხუთჭიდელთა ასპარეზობაში გამოდიოდა.

● **ქუთაისი, 16 დეკემბერი.** სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა მოსკოველმა არმიელმა ვ. კერდემელიდიმ — 111,45 ქულა. II ადგილზეა გამარჯვებულის თანაქალაქელი, სტუდენტი ა. კოზეევი — 111,4, ხოლო III — დინამოელი ვ. შამენკო (ხარკოვი) — 110,85.

გუშინ ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქალები. თასის მფლობელი გახდა გროზნოელი მოსწავლე ლ. ტურიშჩევა — 75 ქულა. გამარჯვებულს ახლახანს შეუსრულდა 15 წელი. იგი „დინამოს" აბსოლუტური ჩემპიონია. „ლიუდას პროგრამა, — განაცხადა წარსულში ცნობილმა ტანმოვარჯიშემ, ამჟამად კი მწვრთნელმა ვ. მურატოვმა, — ისეთი რთული ელემენტებით იყო აღსავსე, რომლის მსგავსი არ შეუსრულებია არც ერთ ტანმოვარჯიშე გოგონას დედამიწაზე". II ადგილზე გავიდა ვორონეჟელი ლ. ბურდა („დინამო") — 74,65. III ადგილზეა მისი თანაქალაქელი ა. დემიანენკო („სპარტაკი") — 74. დაძაბული ბრძოლა გაიმართა ახალგაზრდული პირველობის მონაწილეთა შორის, 1952-53 წლებში დაბადებულ გოგონებს შორის სავალდებულო პროგრამის შემდეგ ბურდა ლიდერთა სამეულშიც კი არ იყო, მაგრამ ნებისმიერი პროგრამის შემდეგ იგი გამარჯვებული გამოვიდა — 74,65. ერთი ქულით ჩამორჩა მას ლენინსკ-კუზნეცკელი ნ. დუპლიაკოვა.

ფავორიტი — მეოთხე

ვალ დ'იზერი (საფრანგეთი), 15 დეკემბერი. წლევანდელი სეზონის პირველ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში — „პირველი თოვლის კრიტერიუმში", რომელიც ალპებში მდებარე ამ ქალაქში გაიმართა, მოსკოველმა ნ. მერკულოვამ ურიგოდ როდი იასპარეზა: სლალომისტთა ტურნირში იგი მე-19 იყო. 360-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 160 მ, 55 კარი) მან გაიარა 1 წუთსა და 23,91 წამში (ორი რბოლის ჯამში). გაიმარჯვა მასპინძელმა, 18 წლის ი. მირმა — 1.13,17.

ერთი შეხედვით უბრალო ტრასა ვერაგულად „სწრაფი" იყო — 69 მონაწილიდან 38 მოიხსნა კარის გამოტოვების გამო. უიღბლოთა შორის აღმოჩნდნენ სახელგანთქმული ფრანგი დები მ. და კ. გოიშელებიც.

ვაჟებმა გიგანტური სლალომით დაიწყეს ტურნირი. ყველას აჯობა 27 წლის გ. ნენინგმა (ავსტრია). 1900-მეტრიანი დისტანცია (სიმაღლეთა სხვაობა 495 მ, 84 კარი) მან გაიარა 1 წუთსა და 49,28 წამში. ყველა მოელოდა ჟ.-კ. კილის წარმატებას, მაგრამ ფავორიტმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავა.

19 ქვეყნის ასობით სპორტსმენს, რომელთა შორის იყო მსოფლიოს ყველა საუკეთესო სამთო-მოთხილამურე, სტარტამდე მთელი ღამე მოუხდა ცდა: გაიფიცნენ ელექტრიკოსები, რის გამოც მთებში არ მუშაობდა არც ერთი ლიფტი და საბაგირო გზა.



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა ფარზე მასირებული შეტევის ერთი ფრაგმენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

⊙

კალათბურთელთა ამ მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ისევ „დიდი ფეხბურთის" გარშემო

მე-2 გვ.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი" და კიევის „სტროიტელი". ამჯერად გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 62:56 (34:28).

სპორტი უცხოეთში

დავა ვიზებზე

კარაკასი. ვენესუელის სპორტის ეროვნულმა ინსტიტუტმა, რომელიც ცდილობს თავის ქვეყანაში მიიღოს საბჭოთა საფეხბურთო კლუბი „დინამო", ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ვენესუელის მთავრობამ უარი თქვა საბჭოთა ფეხბურთელებისთვის ვიზების მიცემაზე. დინამოელებს აქ უნდა ეთამაშათ ვენესუელის ჩემპიონთან.

ვენესუელის მთავრობის გადაწყვეტილებამ ვიზებზე უარის გაცემის თაობაზე აღშფოთება გამოიწვია ამ ქვეყნის სპორტულ წრეებში. ვენესუელის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა შეაცვლევინოს ეს გადაწყვეტილება.

◇

კავშირი შეკრეს...

ვაშინგტონი, 16 დეკემბერი. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა იმ კამპანიის ხელმძღვანელობაში, რომელსაც სურს დანერგოს ევროპული ფეხბურთი შეერთებულ შტატებში.

როგორც ცნობილია, სპორტის ბიზნესმენები აქტიურ საქმიანობას შეუდგნენ აშშ-ში ევროპული ფეხბურთის დასანერგავად, რომელსაც აქ „სოკერს" უწოდებენ. ამ საფეხბურთო ბიზნესის განვითარებას შტატებში საგრძნობლად უშლიდა ხელს ადგილობრივი გუნდების დაყოფა ერთმანეთს შორის მტრულად განწყობილ ორ ჯგუფად, რომლებიც აერთიანებდნენ ფეხბურთის ასოციაციას და პროფესიულ ფეხბურთის ეროვნულ ლიგას. თვითეული მათგანი ცალკე ატარებდა თავის ჩემპიონატს.

ამ ჯგუფების ხელმძღვანელებმა ჩიკაგოში განაცხადეს, რომ ერთიანდებიან ერთ ეროვნულ ორგანიზაციად, რომლის 20 გუნდი წარმოადგენს ამერიკის 18 და კანადის 2 (ტორონტო და ვანკუვერი) დიდ ქალაქს. აქ მიღებული დადგენილების თანახმად, არც ერთ ქალაქს არა აქვს უფლება ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ ჩემპიონატში გამოიყვანოს 2 გუნდი. იმ ექვს ქალაქში, სადაც ადრე 2-2 კლუბი იყო, შედგება ნაკრები გუნდები საუკეთესო მოთამაშეებიდან.

მინსკი. ჭადრაკისა და შაშის რესპუბლიკური კლუბი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში.

ფოტო გ. მინკოვიჩისა (საქდესი).



[illegible] საათი...

◆ **პალმა, 16 დეკემბერი.** კუნძულ მალიორკაზე მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XVI ტურში ბოტვინიკი და სმისლოვი დაეწიენ ლიდერს — დანიელ დიდოსტატ ლარსენს, რომელმაც 36-ე სვლაზე თავი დამარცხებულად სცნო ესპანელ მედინასთან შეხვედრაში. ბოტვინიკმა და სმისლოვმა ამ დღეს ყაიმით დაამთავრეს პარტიები: პირველმა — ესპანელ კალვოსთან (46-ე სვლაზე), ხოლო მეორემ — იუგოსლაველ ივკოვთან (მე-14 სვლაზე). ბოლო ტურის წინ ბოტვინიკს, ლარსენსა და სმისლოვს 12-12 ქულა აქვთ. მათ 1 ქულით ჩამორჩება პორტიში (უნგრეთი), ხოლო ორით — გლიგორიჩი (იუგოსლავია). პირველი პრიზის ბედი გადაწყდება პარტიებში: გლიგორიჩ — სმისლოვი, ივკოვ — ბოტვინიკი, ლარსენ — კორალი (ესპანეთი).

◆ **მინსკი, 16 დეკემბერი.** ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლოსწინა, XVIII ტურში კიეველმა კუპერმანმა დაამარცხა ლენინგრადელი გერშტი, ხოლო გამარჯვებულის — ტურნირის ლიდერის მდევრებმა განტვარგმა (მინსკი) და ანდრეიკომ (რიგა) ყაიმით დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები. მათ შეუერთდა მოსკოველი შჩოგოლევი, რომელმაც სძლია ოდესელ დუკლერს. ახლა ამ ტრიოს 11,5 ქულა აქვს, კუპერმანზე ქულით ნაკლები. ხვალ, ბოლო ტურში კუპერმანი ეთამაშება განტვარგს. კიეველს ყაიმიც აძლევს ხელს: მაშინ იგი მეხუთედ გახდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

◆ **რიგა, 16 დეკემბერი.** კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ტარტუს „კალევმა" რიგაში ბილო — დაამარცხა ადგილობრივი ასკ — 68:65.

◆ **ბაქო, 16 დეკემბერი.** კიევის ასკ-ს კალათბურთელმა ვაჟებმა აქ მეორე კალენდარული შეხვედრაც მოუგეს ადგილობრივ „ბურევესტნიკს" — 81:73.

პირველი საერთაშორისო...

რიგა, 15 დეკემბერი. ადგილობრივი სპორტული მანეჟის საჭიდაო ხალიჩაზე დაიწყო ძიუდოისტთა I საერთაშორისო ტურნირი.

მოულოდნელი გამოდგა უმძიმესი წონის ათლეტთა პირველივე შეხვედრის შედეგი: სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. ბონდარენკო (რიგა) ქულებით დამარცხდა იუგოსლაველ ს. ტოპალოვიჩთან.

და მაინც, დილით გამართულ შეხვედრებში წარმატება მასპინძელთა მხარეზე უფრო იყო, ვიდრე მოსწავლეებისა. კიეველმა ნ. კოზიცკიმ (მსუბუქი წონა) მე-6 წუთზე წმინდად მოუგო ბულგარეთის ჩემპიონ დ. ვასილევს. სსრ კავშირის ჩემპიონი ამ წონაში, მოსკოველი ნ. ნოვიკოვი იაპონელ კ. ადატის შეხვდა. ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელმა ბრძოლა აქტიურად დაიწყო, მაგრამ ბოლო წუთებზე საბჭოთა ათლეტმა იგი მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა. ადატი დანებდა.

აქ მოუთმენლად ელიან ოლიმპიური ჩემპიონის, ჰოლანდიელი ა. გეეზინკის სტუმრობას. საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, მონღოლეთის, იაპონიისა და იუგოსლავიის სპორტსმენები, კვირას დამთავრდება.

სამბო

კიდევ ერთხელ ჩვენი ფეხბურთის პრობლემებზე

●

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

●

საბჭოთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრების კალენდარი ბოლო წლებში ძალიან გაიზარდა, თუმცა ზოგიერთ საინტერესო ტურნირსა და თასის გათამაშებაში ჯერ კიდევ არ ვმონაწილეობთ. ასეთი ფართო მასშტაბის ურთიერთობანი მისასალმებელია, მაგრამ როგორღაც გამოდის, რომ თანდათან ვკარგავთ პატივისცემას მთავარი შეჯიბრების — საკავშირო ჩემპიონატისადმი. მეტისმეტად გავერთეთ საერთაშორისო შეხვედრებით და დავივიწყეთ საკუთარი. ეს შეცდომა ძვირად გვიღირს უკვე დღესვე: საკლუბო ფეხბურთი ერთობ ნელი ნაბიჯით მიდის წინ და ზოგჯერ უკანაც კი იხევს. ვივიწყებთ, რომ ნაკრები გუნდი მისი მკვებავი კლუბების გარეშე — ეს ხეს მოკვეთილი ტოტია. რასაკვირველია, საერთაშორისო შეხვედრები დიდი საქმეა, მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება საერთაშორისო თამაშებისა და შინაგანი კალენდრის ზუსტი კოორდინაცია. ამას კი ადვილად მივაღწევთ, თუ საკავშირო ჩემპიონატებს გადავიყვანთ ორწლიან ციკლზე. ასეთ პირობებში შეგვეძლება დავგეგმოთ ნაკრების შეხვედრათა საკმაო რაოდენობა ისე, რომ იგი მძიმე ტვირთად არ დააწვეს საკავშირო პირველობის მატჩებს და არ დავაზარალოთ ნაკრებისთვის მოთამაშეთა მიმწოდებელი კლუბები. კალენდრის რიტმულობას მივაღწევთ მაშინ, როცა თამაშები ჩატარდება მხოლოდ შაბათობით და კვირადღეებში. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, გააუმჯობესებს საწვრთნელი მუშაობის პირობებს კლუბებში და მალე იჩენს თავს ჩვენი ფეხბურთის პროგრესი ხარისხისა და რაოდენობის მხრივ.

ბოლო დროს ბევრი წინადადება წამოაყენეს საკავშირო შეჯიბრებათა კალენდრის რაციონალიზაციისთვის. ზოგიერთი რამ უკვე განხორციელდა კიდეც, მაგრამ დღეს ასეთი ღონისძიებანი არ კმარა. ვიმეორებ: შექმნილი ვითარებიდან ყველაზე უფრო რაციონალურ გამოსავლად მიგვაჩნია სსრ კავშირის ჩემპიონატის ჩატარება 2 კალენდარული წლის მანძილზე.

ორწლიანი ციკლის პირობებში გუნდებს საშუალება ექნებათ ნორმალურად ითამაშონ სსრ კავშირის თასის მატჩებშიც, ახლა კი ზოგიერთი ჩვენი უძლიერესი გუნდიც კი დიდი გადატვირთვის გამო ან არასრული ძალით თამაშობს, ან, უბრალოდ, არ ყოფნის რესურსები გაართვას მას თავი. გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და სპორტულმა ინტერესმა მის მიმართ შესამჩნევად იკლო.

ზედმეტად არ მიგვაჩნია შევახსენოთ, რომ ბრაზილიაში, რომელსაც აგრეთვე გააჩნია გეოგრაფიული სიძნელეები ქალაქების დაშორების მხრივ, ბოლო დრომდე არ ატარებდნენ ერთიან ეროვნულ ჩემპიონატს და ამას გარდაც ჩემპიონატში მონაწილეობს კლუბების მცირე რაოდენობა. ბრაზილიური ფეხბურთის დონე ყველამ კარგად იცის და ინგლისში განცდილი წარუმატებლობაც კი არ გვაძლევს საფუძველს ანგარიში არ გავუწიოთ მას. ამიტომ ბრაზილიელთა გამოცდილებას დღესაც ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. ამ ქვეყნის გუნდები მონაწილეობენ ბევრ საერთაშორისო თუ შინაურ შეჯიბრებაში, მაგრამ ამავე დროს მუდამ იტოვებენ საკმაო დროს საწვრთნელი მეცადინეობისთვის.

ვფიქრობთ, ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან 4-5 აუტსაიდერი თავისი კლასით საგრძნობლად ჩამორჩება დანარჩენებს. ამ ჩამორჩენის კომპენსირება ხდება ძალისმიერი თამაშით, რაც ხშირად აშკარა უხეშობაში გადადის. სამწუხაროდ, ვყოფილვართ იმის მოწმენი, რომ ჩვენი საუკეთესო, მაღალი კლასის ფეხბურთელებზე დაუფარავი ნადირობა იმართება. მომავლისთვის საჭიროა საგანგებო სიმკაცრით მივუდგეთ უმაღლეს კლასში გასასვლელი „საშვის“ გაცემას. „ა“ კლასის პირველი ეშელონი ფეხბურთის აკადემიად უნდა იქცეს, სადაც ადგილი არ ექნებათ სუსტებს. სამწუხაროდ, „ა“ კლასის მეორე ეშელონის „შტატების“ დაკომპლექტება მუდამ როდი ხდება სპორტული მაჩვენებლების მიხედვით. აქ ხშირად შეხვდებით აშკარად სუსტ, შეუფერებელ გუნდებს და ეს მაშინ, როცა უმაღლესმა ლიგამ თავისი შევსება სწორედ აქედან უნდა მიიღოს. შეიძლება მიზანშეწონილიც იყოს დამატებითი გადასასვლელი თამაშები დავაწესოთ მეორე ეშელონის გამარჯვებულსა და I ლიგაში ბოლო ადგილზე გასულ გუნდს შორის. უნდა ავამაღლოთ მეორე ეშელონის კოლექტივთა სპორტული კლასის დონე და ამიტომ ზედმეტი არ იქნება ერთ-ერთ საჭირო ღონისძიებად დავსახოთ გარკვეული ასაკობრივი შეზღუდვა „ბ“ კლასის მოთამაშეთათვის. საქართველოში ასეთი ასაკობრივი შეზღუდვა უკვე დავაწესეთ რესპუბლიკის პირველობის მონაწილე და „ბ“ კლასის გუნდებისთვის და ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. ახლა უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობიან ახალგაზრდა მოთამაშეთა შერჩევას, უფრო სერიოზულად უდგებიან მოზარდთა და ბავშვთა ფეხბურთს. ამგვარი პრაქტიკა სხვა რესპუბლიკებშიც უნდა დაინერგოს.

ჩვენ გვაქვს „დიდი ფეხბურთის“ სხვა სერიოზული პრობლემებიც. კერძოდ, ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია ნაკრების მუშაობის გონივრულად დამუშავებული წლიური გეგმა. არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ მოთამაშეთა ხანგრძლივად მოწყვეტა კლუბებიდან უარყოფით შედეგებს იძლევა და ამხანაგური მატჩების სიმრავლეც ნაკლებად უწყობს ხელს ნაკრების წარმატებას. როცა ექსტრა-კლასის ფეხბურთელი მონაწილეობს ისეთ მატჩებში, სადაც მას არავითარი სტიმული არ ამოძრავებს, იგი კი არ სრულყოფს თავის ოსტატობას, არამედ, პირიქით, ამუხრუჭებს მას. შეჯიბრება, როცა მთელ შენს ძალას არ აძლევ მას, ეს არც შეჯიბრებაა და არც ვარჯიში. ფეხბურთელები ასეთი მატჩებისთვის სერიოზულად არ ემზადებიან, თანაც, ნაწილი საუკეთესო მოთამაშეებისა სათადარიგოთა სკამზე იმყოფება ნაცვლად იმისა, მთელი თავისი შესაძლებლობით ითამაშოს კლუბებში. ეს გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანდა.

ყველაფერი ეს ნათლად გამოჩნდა მსოფლიოს VIII ჩემპიონატში, როცა ნაკრების მთელმა რიგმა მოთამაშეებმა სწორედ ინგლისში გამგზავრების წინ დაკარგეს ფორმა და მათი შეცვლა საჭირო გახდა კლუბებიდან აყვანილი ახალი ფეხბურთელებით.

ჩვენი ნაკრების საგაისო გეგმაში ანალოგიური შეცდომებია. პირველ ყოვლისა, დაგეგმილია ამხანაგური მატჩების დიდი რაოდენობა უცხოეთში (გათვალისწინებულია დაახლოებით 40 ასეთი საერთაშორისო შეხვედრა). ნება მოგვეცით, ეჭვი შევიტანოთ ზოგიერთი მათგანის მიზანშეწონილებაში. რას გვაძლევს შეხვედრები მესამეხარისხოვან კლუბებთან, სადაც ჩვენი გუნდი მთლიანად ვერ შლის თავის შესაძლებლობებს და დაბალ შედეგებს აჩვენებს? გაიხსენეთ ახლანდელი თამაშები საფრანგეთში. ასეთი მატჩები ვნებს ჩვენს პრესტიჟს, ხოლო ფეხბურთელები ვეღარ იცავენ ვერც სპორტულ, ვერც საყოფაცხოვრებო დისციპლინას. ნუთუ არ უნდა ჩაგვაფიქროს იმ სავალალო ფაქტმა, რომ ბოლო 2 წლის მანძილზე შესამჩნევია ნაკრების მოთამაშეთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევები (ჩისლენკო, სიჭინავა, ვორონინი, საბო, სტრელცოვი, ესკოვი და სხვ.). ეტყობა, აღმზრდელობითი მუშაობა ნაკრებში მოიკოჭლებს და, გარდა ამისა, არც საჭირო კონტაქტია დამყარებული ნაკრებისა და კლუბების ხელმძღვანელობებს შორის. მოთამაშის ნაკრებში გაწვევას კლუბის ხელმძღვანელობას მხოლოდ ოფიციალურად ატყობინებენ, მაგრამ განა ყველა ფეხბურთელი ერთნაირია? ზოგიერთნი ყოყოჩდებიან, არად აგდებენ ძველ ამხანაგებს და მეგობრული ატმოსფერო კლუბში ირღვევა. ჩვენი აზრით, მოთამაშეს ნაკრებში რეკომენდაცია უნდა მისცეს კლუბმა და თუ ფეხბურთელი კლუბში არ იცავს დისციპლინას, გუნდის ხელმძღვანელობას უფლება უნდა ჰქონდეს არ მისცეს მას რეკომენდაცია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კატეგორიულად აიკრძალოს კლუბის ხელმძღვანელობაზე „დაწოლა“. ნაკრების მოთამაშეთა წვრთნის ინდივიდუალური გეგმები ხშირად არ შეეფარდება საკლუბო გეგმებს, წარმოიქმნება წინააღმდეგობანი და ფეხბურთელთა სპორტული ზრდაც ფერხდება.

ფეხბურთელთა ხანგრძლივი დროით, თვეობით მოწყვეტა თავიანთ კლუბებს უპირველესად ყოვლისა დიდ ზიანს აყენებს თვით ფეხბურთელს. ამის ტიპიური და სამწუხარო შემთხვევაა ვ. ვორონინი.

კიდევ ერთი საკითხი, რაც კალენდრის გადატვირთვას ეხება. იყო შემთხვევები, როცა კლუბებს მოუხდათ ფეხბურთელთა გამოყვანა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში სათამაშოდ იმავე დღეს, როცა ნაკრები უცხოეთიდან დაბრუნდა. ეს იძულებითი ამბავია, მაგრამ კლუბებს სხვა საშუალება რომ არა აქვთ! იყო შემთხვევები, როცა ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში გამოდიოდნენ ნაკრების მატჩის მეორე დღესვე და, ცხადია, არ შეეძლოთ მთელი ძალით თამაში. ამას მოსდევს ხოლმე უარყოფითი რეაქცია ტრიბუნებზე და ხშირად ფეხბურთელს აყვედრიან, რომ ნაკრებში იგი მეტი მონდომებით თამაშობს, ვიდრე თავის კლუბში. და, კაცმა რომ თქვას, მართალიცაა: მაყურებელი სულ სხვა ფეხბურთელს ხედავდა ტელევიზორის ეკრანზე, როცა მოთამაშე ნაკრებში გამოდიოდა, და სულ სხვას ხედავს მეორე დღეს მინდორზე. მაგრამ ყველა როდი უწევს ანგარიშს იმას, რომ ძნელია თანაბარი სიძლიერით ზედიზედ ორჯერ ითამაშო ასეთ საპასუხისმგებლო მატჩებში. ნაკრების ფეხბურთელები ამას ძალზე მტკივნეულად განიცდიან. მაგალითისთვის დავასახელებდი თუნდაც მ. ხურცილავას.

დასასრულ, ისევ მსაჯობაზე. დავას ამ საკითხზე ბოლო არ უჩანს, სასურველ შედეგს კი ჯერ ვერ ვხედავთ.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც გულისხმობს სამსაჯო კოლეგიების მუშაობის გაუმჯობესებას, ე. ი. ეს საკითხი გამწვავებულია.

იმის გამო, რომ ბევრი მსაჯი მინდორზე ლიბერალობას იჩენს, საგრძნობლად დაქვეითდა დისციპლინა. გაიხსენეთ, თუნდაც, რამდენი დროს დაკარგვა უხდებათ მსაჯებს, რომ საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას დამცველ გუნდს აიძულონ უკან დაიწიოს წესით დადგენილ მანძილზე. თუ მოთამაშეები განმეორებით არღვევენ წესს, საჭიროა მათი მკაცრად დასჯა და ზოგ შემთხვევაში მინდვრიდან გაძევებაც. ჩვენში კი ცნობილი არიან ფეხბურთელები, რომლებიც აკრძალული ფანდებით თამაშობენ თითქმის მთელ მატჩში, მსაჯები კი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ საჯარიმო დარტყმებს ნიშნავენ. საჭიროა უფრო მკაცრი ზომის მიღება. გაუბედავად იქცევიან მსაჯები 11-მეტრიანი დარტყმების დანიშვნისას. მაყურებელი ხშირად ხედავს, რომ დარღვევა მოხდა საჯარიმო მოედნის ფარგლებში, მსაჯს კი... გარეთ გამოაქვს ბურთი. ყოველივე ეს ხელს უწყობს უხეშობის ზრდას.

რახან მსაჯები ასეთ უმართებულო ლიბერალიზმს იჩენენ საკავშირო შეჯიბრებებში, „ბინძურმა თამაშმა“ ისე მოიკიდა ფეხი, რომ ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი დაუშვებელ უხეშობას იჩენს საერთაშორისო შეხვედრებშიც.

მსაჯების დანიშვნა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებზე ახლა არასწორად ხდება. ჩვენი აზრით, მსაჯთა განაწილება უნდა მოხდეს კენჭისყრით და მას უნდა ესწრებოდნენ კლუბების წარმომადგენლები. საამისოდ საჭიროა შეირჩეს ყველაზე კვალიფიციური არბიტრები და ყოველი წრის დასაწყისში, ე. ი. სეზონში ორჯერ, მოხდეს კენჭისყრით მათი განაწილება.

სულ ახლახან შეცვალეს ადგილობრივი მსაჯთა კოლეგიების მიერ უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობის გასინჯვის წესი. ახლა ასეთი უფლება ეძლევათ მხოლოდ მსაჯთა საკავშირო კოლეგიის მიერ გამოყოფილ სპეციალურ პირებს. მაგრამ განა სწორია, როცა მოსკოვის მსაჯთა ბრიგადის მსაჯობის ხარისხს ისევ მოსკოვის წარმომადგენელი სინჯავს? განა სწორია, რომ გამსინჯავი ბრიგადის აზრს ამჯობინეს მხოლოდ ერთი კაცის შეხედულება? ესაა აშკარა უნდობლობა ადგილობრივი მსაჯთა კოლეგიების მიმართ.

მსაჯობის კლასის ამაღლებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიწვიოთ სოციალისტური ქვეყნების მსაჯები და ამავე დროს გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვა ქვეყნებშიც მივავლინოთ ჩვენი მსაჯები.

პრობლემა ჩვენს „დიდ ფეხბურთში“ კიდევ ბევრია, მაგრამ თუ გულდაგულ მოვკიდებთ ხელს მათ გადაჭრას, ჩვენი ფეხბურთი კიდევ უფრო წინ წავა.

დასასრული, დასაწყისი იხ. „ლელო“ № 231.

მოცურავეებს ეხიბრებიან... წყალბურთელები

„პირველი თანრიგის შედეგის ჩვენებისთვის სპორტსმენს დამატებით ეძლევა 100 ქულა, ოსტატობის კანდიდატის შედეგისთვის — 150...“ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების მოცურავეთა წლევანდელი შეჯიბრების დებულებაში ასეა განმარტებული ერთ-ერთი პუნქტი და წახალისების ეს სისტემა შემთხვევით როდი შემოუღიათ.

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის თავს მაინცდამაინც არავინ იწუხებს — საკუთარი ბაზებიც არა აქვთ. კარგა ხანია შეწყდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზის მშენებლობაც, მაგრამ ცურვას ყველაზე მეტად ყურადღება მაინც ამ ინსტიტუტში ეთმობა. აკი დაუფასდათ კიდეც!

ტურნირში, რომელიც ამას წინათ ქალაქის სპორტკავშირმა უმაღლესი სასწავლებლებისთვის გამართა, მონაწილენი გამოიყვანეს მხოლოდ უნივერსიტეტმა, პოლიტექნიკურმა, ფიზკულტურისა და სამედიცინო ინსტიტუტებმა. ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ მომავალი ინჟინრებისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის გაჩაღდა. პოლიტექნიკურის მოცურავეებმა საბოლოოდ 17.495 ქულა მოაგროვეს, მათმა ყველაზე სახიფათო მეტოქემ კი — 15.553. უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის სპორტსმენებმა 3 დღის მანძილზე მხოლოდ 4.207 და 1.276 ქულა (?!) დააგროვეს. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდის წევრმა თ. მელაძემ 7.58,8 ძლივს აჩვენა და გუნდს 39 ქულის მეტი ვერ შესძინა. მისმა თანაგუნდელმა კ. ამირეჯიბმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებულ გ. კასტკინთან (სპი) 39 წამი წააგო და ბოლო ადგილზე დარჩა, 200 მეტრზე ცურვისას კი უხეიროდ მობრუნდა და შეჯიბრებიდან მოხსნეს. სამედიცინო ინსტიტუტის ქალთა გუნდის წევრებმა მ. ჯუღელმა და ნ. ხაბულიანმა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში 2.19,0 და 2.27,4 აჩვენეს, რის გამოც გუნდს თითო ქულაც ვერ მოუტანეს. მათ არც ნ. დანელია, შ. სამხარაძე და ნ. ხურცილავა „ჩამორჩნენ“ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ეს სახეობა მოიგო „დინამოს“ წყალბურთელმა ვ. ისელიძემ, რომელმაც II თანრიგის შედეგი (2.21,7) აჩვენა, ნ. ხურცილავამ (სამედიცინო ინსტიტუტი) კი ამავე დისტანციის გაცურვას 4.53,0 (?!) მოანდომა.

მაგრამ ახალ ამპლუაში წყალბურთელებიდან მარტო ისელიძე როდი ვიხილეთ. დანამოელი ვ. გიორგაძე მომავალი ინჟინრების სახელით გამოდიოდა, ბ. მეგედი კი უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა.

განსაკუთრებით მცირერიცხოვანი იყო ქალთა შეჯიბრება. უმეტეს სახეობაში ორ მონაწილეზე მეტი არ ჩაბმულა ბრძოლაში. ასე იყო 100 მეტრზე ბატერფლაით და გულაღმა, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, გულაღმა და ბატერფლაით ცურვაში.

ერთი სიტყვით, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ცურვას კვლავ უმნიშვნელო ყურადღება ეთმობა. ეს უზრუნველობა კი იმითაც არის გამოწვეული, რომ საკავშირო ტურნირებისთვის მათ ხშირად სხვა საზოგადოებები „ასესხებენ“ ხოლმე სპორტსმენებს.

წახალისების სისტემამ შედეგი მაინც გამოიღო: ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს ნაკრების წევრები ენერგიულად იბრძოდნენ. მათგან სამმა ყველას აჯობა: ა. იოაკიმიდიმ 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 19.14,7 აჩვენა (574 ქულა), რაც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივზე უკეთესია. მან კოლექტივს დამატებით 150 ქულა შესძინა. იოაკიმიდის თანაგუნდელმა ჰ. შიხიკიანმა (ორივე—პოლიტექნიკური ინსტიტუტი) 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.27,9) შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და სულ 850 ქულა მოიპოვა. მათვე დამატებით ას-ასი ქულა მიიღეს: პირველმა — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით, მეორემ — 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

ამ შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადააჭარბა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მონაწილე ი. კირდიანოვმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.14,9. I თანრიგის შედეგი 14 სპორტსმენმა აჩვენა (მათ შორის, ვ. გიორგაძემაც). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით ახალგაზრდა სწავლობს, ეს ზღვაში წვეთია.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ე. მძინარიშვილი, რომელმაც 100 მეტრზე ბრასით ცურვაში I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ფოტო ავტორისა.

შეხვედრა „ტორპედოსთან“

ქუთაისი (ჩვენი კორ.). აქ გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის შეხვედრა „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელებთან. შეხვედრა გახსნა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. კობახიძემ.

წლევანდელ საფეხბურთო სეზონში ტორპედოელთა გამოსვლებზე ილაპარაკა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ა. ნორაკიძემ, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო გუნდის წარმატებებზე, მის შესაძლებლობაზე და იმედი გამოთქვა, რომ გაისად „ტორპედო“ უკეთეს შედეგებს მოიპოვებს.

ტორპედოელებს მიესალმნენ საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. იმედაძე, პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი დაუსწრებელი სწავლების დარგში ბ. ნადირაძე, საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ალავიძე, ქალაქის პროკურორის თანაშემწე ბ. ჩეჩელაშვილი და სხვ.

შ. ნიჟარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გოლსა" და „მძიმე წამებს" — ოქროს მედალი

მეტოქის კარში გოლი გაიტანა და ცას ეწია ფეხბურთელი. ხწორედ ასეთი წარწერა უფრო მოუხდება მარჯვნივ დაბეჭდილ სურათს, რომელზეც თბილისის დინამოელთა ერთი ჯგუფია აღბეჭდილი. გოლის ავტორს მურთაზ ხურცილავას სახეზე უსაზღვრო სიხარული ატყვია.

მეორე სურათი მოგვითხრობს ხელბურთელთა გუნდის მეკარის მძიმე წამებზე. ბურთი ხელთ იგდეს მეტოქეებმა და კარის უვნებელსაყოფად მთელი ოსტატობის გამოჩენაა საჭირო.

თბილისელი ა. სააკოვის ეს ორი ფოტოსურათი და ერთიც სხვა ნამუშევარი ოქროს მედლით დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონში მოწყობილ გამოფენაზე — „დიდი ოქტომბრის 50 წელი მხატვრულ და დოკუმენტურ ფოტოგრაფიაში", რომელზეც წარდგენილი იყო 1,300-ზე მეტი ფოტოსურათი.

ფოტოგამოფენის 20 მონაწილე დაჯილდოვდა ოქროს მედლებით და 200-მანეთიანი ფულადი პრემიებით. როგორც ვთქვით, ოქროს მედალოსანთა შორის არის ა. სააკოვიც.

ვერცხლის მედალი მოიხვეჭა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ბ. დადვაძემ.

გრწყინვალედ!

ხარკოვი, 16 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 35-ე ჩემპიონატის VI ტურში საერთო ყურადღება მიიქცია ბ. გურგენიძის შეხვედრამ ესტონეთის ჩემპიონ ი. ნეისთან.

ახალინდურ დაცვაში ცენტრალური პაიკები, მართალია, მალე გაიცვალა, მაგრამ გურგენიძემ ღრმა მანევრებით იერიში მოამზადა. ეტლის პაიკის წინსვლით მან კიდეც შეუტია ნეის მეფის ფრთას. რამდენიმე გონებამახვილური დარტყმით, ფიგურისა და ხარისხის შეწირვით, გურგენიძემ ბოლოს ფარ-ხმალი დააყრევინა მეტოქეს.

აი, ეს პარტიაც, რომელიც საერთო აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემპიონატში:

ნეი — გურგენიძე

1. c4 c5 2. მf3 მf6 3. მc3 e6 4. g3 b6 5. კg2 კb7 6. 0—0 კe7 7. d4 cd 8. მ:d4 კ: g2 9. მფ:g2 ლc8 10. ლd3 მc6 11. b3 მe5 12. ლe3 ლb7+ 13. f3 მg6 14. ეd1 0—0 15. კb2 h5! 16. ლd3 h4 17. e4 მh5 18. ლe3 ეae8! 19. მde2 f5 20. ef ef 21. ლd2 ლb8 22. მd5 კb4! 23. ლd3 hg 24. hg ე:e2+ 25. ლ:e2 ლ:g3+ 26. მფf1 მgf4 27. მ:f4 მ:f4 28. ლf2 ლh3+ 29. მფg1 კc5 30. კd4 ეf6 ნეი დანებდა.

აუღელვებლად ითამაშა უბილავამ ტუზოვსკისთან (რსფსრ) და მეტოქის უზუსტობათა გამოყენებით გაიმარჯვა. ახლა უბილავასა და გურგენიძეს 4-4 ქულა აქვთ და ლიდერთა ჯგუფში არიან.

ულიმღამოდ იბრძოდა ზერაძე ლენინგრადელ ბიკოვთან და დამარცხდა. წერეთელმა წააგო ვსეოევთან (ყაზახეთი).

იზვოზჩიკოვმა მოსაგებ მდგომარეობაში გადადო პარტია ლენინგრადელ ჩეპუკაიტისთან. კარკმაზოვს მოგება ჩაეთვალა სიმაგინთან (მოსკოვი), რომელიც ტურნირიდან გავიდა.

ჰ. არნშტეინი,
ოსტატობის კანდიდატი.

[illegible]

✦ ზუგდიდი

ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმში ორ თვეს მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შიდასატექნიკუმო სპარტაკიადა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა სპორტსმენმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს მექანიზაციის განყოფილების მეოთხეკურსელებმა.

გ. ალშიბაია.

✦ რუსთავი

ყოველი საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ ქალაქის სტადიონზე იმართება ამხანაგური მატჩი „მეტალურგის" ვეტერან და ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ასეთი მატჩი შედგა ახლაც. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 4:4.

რ. გაბრიძე.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

რატომ დაკარგა „ბურევესტნიკმა" ქულა?

თბილისი. სპორტის სასახლე. 15 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 54:59 (26:30).

„ბურევესტნიკი": გლურჯიძე (გუნდს შესძინა 6 ქულა), ლომაძე (20), მანაგაძე (4), კოვალენკო (16), ჯუღელი (8), ლეჟავა, საკანდელიძე.

„სტროიტელი": გლადუნი (14), ბაგლეი (8), ვალტინი (10), ოკიპნიაკი (7), ფილოზოფი, პოპლავსკი (5), კოვიანოვი (12), ივაშჩენკო (3).

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი) და მ. ხაჩატრიანი (ერევანი).

„ბურევესტნიკი" საკავშირო ჩემპიონატში მეოთხედ დამარცხდა. გუნდი აუტსაიდერთა შორისაა და, როგორც ჩანს, ერთხანს თავს ვერ დააღწევს ამ უსიამოვნო ზონას. მაგრამ თუ ობიექტურად შევაფასებთ სტუდენტთა დაკარგულ ქულებს, ცხადი გახდება, რომ ტურნირის სტარტზე მათ საბჭოთა კალათბურთის ლიდერებთან მოუხდათ თამაში და ამდენად მარცხიც კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ცსკა-სთანაც და „სტროიტელთანაც" მატჩები „ბურევესტნიკმა" დაძაბული ბრძოლის შემდეგ დათმო.

„სტროიტელმა" ჩვეული სისწრაფით, მოქნილად და გამიზნულად ითამაშა. მაგრამ იყო მომენტები, როცა სტუმრებმა თავიანთი პრინციპებიდან დაიხიეს და იძულებით დაჰყვნენ მეტოქეთა ნება-სურვილს. ეს იყო კიეველთა კრიტიკული ჟამი, რომელსაც შესაძლოა თამაშის საერთო ხასიათიც კი შეეცვალა, მაგრამ გამოცდილმა, მწვავე ბრძოლებში ნაწრთობმა კოლექტივმა დროზე აუღო ალღო ვითარებას და გამარჯვების სასწორი თავის მხარეს გადახარა.

უკრაინელთა თამაში ბევრი ნიშნით არის სამაგალითო. მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ ყბადაღებულ „ზონურ პრესინგზე", რომელსაც „სტროიტელი" აგერ უკვე რამდენი წელია ეფექტურად იყენებს (ახლა ამ სისტემას სხვა გუნდებიც მიმართავენ), სტუმრებმა გუშინდელ მატჩში შეტევის რამდენიმე კლასიკური მაგალითი გვიჩვენეს. ყველაზე მეტად მოსაწონი ის გახლდათ, რომ „სტროიტელის" ამ ელვისებურ პირველ შეტევაში ერთი კალათბურთელი კი არ მონაწილეობდა, არამედ მთელი გუნდი (ტანმაღალი ოკიპნიაკის გარდა).

თბილისელებიც მიმართავდნენ სწრაფ შეტევას, მაგრამ იერიშში, როგორც წესი, მხოლოდ ერთი კაცი მონაწილეობდა. მცირე ძალებით შეტევას კი მეტწილად პარტიზანული ხასიათი აქვს და, ცხადია, სასურველი ნაყოფი არ მოაქვს — გუნდის დანარჩენი წევრები საგრძნობლად ჩამორჩებიან მოვლენათა მსვლელობას.

მაგრამ სწრაფი შეტევა ტაქტიკური სქემაა და არა სავალდებულო ნორმა. ამიტომ ზოგიერთი გუნდი მას ბრძოლის მთავარ იარაღად იყენებს, ზოგი კი ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას ამჯობინებს.

„ბურევესტნიკს" ორჯერ ჰქონდა გარდატეხის მომენტი (პირველად მე-10 წუთზე, მეორედ — 22-ე წუთზე), როცა ინიციატივას ფლობდა. გუნდმა ამ დროებით წარმატებას ორივეჯერ ისეთი ტაქტიკის წყალობით მიაღწია, რომელიც გამორიცხავს სწრაფ, ელვისებურ შეტევებს. მასპინძლებმა თითქმის მიაძინეს „სტროიტელის" ყურადღება და დააჩლუნგეს მისი ბასრი იარაღი. ამ პერიოდებში თბილისელები დაწინაურდნენ და შეეძლოთ (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში) თამაშის სადავეები ბოლომდე არ გაეშვათ ხელიდან, რომ...

... მატჩის შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ სპეციალისტებს, მსაჯებს. ყველა გაკვირვებული იყო მასპინძლების საოცრად უხარისხო, დანაშაულებრივად უზუსტო გადაცემებით და მას მარცხის მთავარ მიზეზად მიიჩნევდა. ამის შემდეგ იოლი მისახვედრია, თუ რატომ დაკარგა „ბურევესტნიკმა" ქულა.

და კიდევ ერთი წმინდა საბუღალტრო ოპერაცია: 54 ქულიდან 36 მასპინძლებს ლომიძემ და კოვალენკომ მოუტანეს (ამ უკანასკნელმა კარგად შეასრულა თავისი როლი და სავსებით გამოთიშა თამაშიდან ოკიპნიაკი — „სტროიტელის" ცენტრალური თავდამსხმელი), 18 კი გუნდის დანარჩენმა წევრებმა. ეს პროცენტული შეფარდება იმის დასტურია, რომ პასუხსაგები ბრძოლისთვის ყველა ერთნაირად როდი იყო განწყობილი.

ნ. გუგუშვილი.

გაიმართა კიდევ ორი მატჩი.

რიგაში ადგილობრივი ასკ ეთამაშა ტარტუს „კალევს". შეხვედრის ბედი გადაწყვიტა კალნინშის ორმა საჯარიმო სროლამ თამაშის ბოლო წამზე. გაიმარჯვეს არმიელებმა — 63:62.

ბაქოს „ბურევესტნიკმა" შინ მიიღო გათამაშების ლიდერი — კიევის ასკ. მასპინძლები დამარცხდნენ — 68:79.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	6	6	0	462—406	6
„სტროიტელი" (კიევი)	8	5	3	543—511	5
„ჟალგირისი" (კაუნასი)	4	4	0	354—282	4
ცსკა	6	4	2	391—363	4
„კალევი" (ტარტუ)	6	4	2	389—378	4
„დინამო" (თბილისი)	4	3	1	278—265	3
ვეფ (რიგა)	6	3	3	417—413	3
„სპარტაკი" (ლენინგრადი	8	3	5	546—546	3
„ბურევესტნიკი" (თბილი	6	2	4	366—391	2
ასკ (რიგა)	6	2	4	395—424	2
„ბურევესტნიკი" (ბაქო)	6	0	6	375—434	0
„ურალმაში" (სვერდლოვსკ.	6	0	6	412—528	0

თბილისის სპორტული [illegible]

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 18-19 დეკემბერი. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი). დასაწყისი 20 ს.

„სიცილის სააგენტოს“ ბიულეტენი № 2

შურიანი

თანაგუნდელებმა გულთბილად მიულოცეს წარმატება მეკარე ა-ს, რომელმაც წინადღით მეასე გოლი გაუშვა. მაგრამ გამოჩნდნენ მოშურნეებიც. სწორედ იმ დროს, იუბილეს რომ ზეიმობდა, ა-ს ბარათი მიართვეს: ბოროტი ანონიმი ატყობინებდა, რომ საიუბილეო გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან იყო გატანილი.

ა-ს ზეიმი ჩამწარდა.

ფიქრობენ, რომ ანონიმის ავტორი გუნდის მეორე მეკარე უნდა იყოს. მას 15 გოლი უკლია აღთქმულ ციფრს.

მოჭადრაკეთა კონკურსი

ლისტის სამშობლოში დამთავრდა საჭადრაკო კომპოზიტორთა საერთაშორისო კონკურსი. დიდ წარმატებას მიაღწია ჩვენმა წარმომადგენელმა ვ-მ. -იგი მეხუთე საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ვ-ს ამოცანა, რომელიც განსაცვიფრებელია განუმეორებელი სვლებითა და თემათა არაორაზროვანი ურთიერთშერწყმით, იხსნება [illegible] 1. ლე 5× [illegible]

ვ-ს ამოცანა [illegible] ლავთ იმითაც, რომ თუ კუს f3-დან გადაიტანთ h2-ზე, მხედარს e4-დან c7-ზე და დაფას ერთ-ორ უჯრას დაუმატებთ, ამოცანის პირობები არ შეიცვლება.

კონკურსის დასკვნით საღამოზე შესრულდა ლისტის ნაწარმოები „სიყვარულის ოცნებანი“.

ქვედა სურათმა (ავტორი — მ. ზარგარიანი), რომელიც „ფოტოკლუბში“ ადრე გამოქვეყნდა (იხ. „ლელო“ № 225), ბევრი მკითხველი შეაიარაღა კალმით. გაგახსენებთ: ჩვენ გთხოვდით სურათზე წარწერის მოფიქრებას.

კონკურსის პრიზიორთა რაოდენობით ჩვენ სულაც არ გახლავართ შებოჭილი, მაგრამ იძულებული ვართ უამრავი პასუხიდან შემოგთავაზოთ მხოლოდ ერთი — „ტანდემი“, რომლის ავტორია თბილისელი ც. მელაძე.

ვიმედოვნებთ, თქვენი დახმარებით პრიზიორთა რიცხვი მომავალში გაიზრდება და გთავაზობთ ფოტოკლუბის ოსტატთა მორიგ ნამუშევარს (იხ. ზედა ფოტო).

რას ნიშნავს ეს???



„სპეკულანტი“

თამაშის დაწყებამდე ოცი წუთი რჩებოდა. შორიდანაც ჩანდა, რომ სტადიონი საბურთალოს ავტობუსივით გატენილი იყო. ხეს მივეყუდე და ზიმზრით ნაშოვნ ორ ბილეთს ნერვიულად ვჭმუჭნიდი —ამხანაგი იგვიანებდა. უეცრად სადღესასწაულო ბუშტივით ჩასუქებული კაცი მომიახლოვდა, გულუბრყვილოდ ამხედდამხედა და რატომღაც შენობით მომმართა:

— ბილეთს რამდენად ყიდი?

— არ ვყიდი.

— მაშ ორი ბილეთი რად გინდა?

— ამხანაგს ვუცდი.

— გაყიდე და ისე დაუცადე, — მირჩია.

— რომ გავყიდო, ის ვერ შევა.

— ეგ რა ამხანაგობაა? ამხანაგს ყოველთვის უნდა დაუთმო. ის შევიდეს და შენ დარჩი.

— თქვენ თვითონ დარჩებით, — გავბრაზდი მე.

— სამ მანეთს მოგცემ.

— არა.

— ხუთად არ მომცემ?

— არც ათად.

— დაურეკე ამხანაგს, იქნებ ავად არის და ვერ მოდის.

— ტელეფონი არა აქვს.

— იქნებ ცოლი ჰყავს ავად?

— ცოლი არა ჰყავს.

— აჰა, ცოლი ავად არ ჰყავს. მაშინ ბავშვები ეყოლება ავად.

— ცოლი საერთოდ არ ჰყავს.

— გასაგებია, გასაგები. ცოლი საერთოდ არ ჰყავს ავად. მე ბავშვებზე გეკითხები.

— თქვენ თვითონ ხართ ავად!

— შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ! — თქვენობით მომმართა საზეიმო ბუშტივით ჩასუქებულმა. შემდეგ დაიხარა, ასფალტიდან ხორბლის მარცვლისოდენა ქვა აიღო, ზურგს უკან მუშტებში მოიქცია, მერე მომუშტული ხელები გამოიშვირა და განაცხადა:

— კენჭი ბილეთს ირჩევს.

— კენჭი თავში გექნება, — ვეღარ მოვითმინე მე.

— აბა, აბა! — წარბი შეიჭმუხნა მან. სიჩუმე ჩამოვარდა. ჩასუქებულმა მერე კიდევ რაღაცის თქმა მოინდომა, ის იყო პირი დააღო, რომ დავასწარი და კონტრიერიშზე გადავედი:

— აი, ეს სამშაურიანი — ავაგდოთ. ბრტყლად თუ დაეცა, ბილეთს არ დაგითმობთ, თუ არა, თქვენი იყოს, — მივეცი ორიგინალური წინადადება.

— ეგრე არ გამოვა.

— მაშინ ოც მანეთად ვყიდი ბილეთს.

— რაო? რაო? — მომესმა ზურგს უკან. მიხედვა ვერ მოვასწარი, რომ ორმა ზორბა მილიციელმა ხელი მტაცა და წამში ლურჯად შეღებილ მანქანაში მიკრა თავი.

მოტორის გუგუნში ძლივს გავარჩიე ისტერიული ყვირილი:

— ეგრე, მე გაუმაძღარო სპეკულანტო! არმად ნაშოვნი არმად წავაო!

გიორგი კაკაბაძე.

უცხოური სპორტი

„გაუმარჯოს „ტორინოს!“

ორ კვირაზე მეტია ტურინის მცხოვრებნი ქალაქის მთავარ ქუჩაზე ხედავენ კაცს, რომელიც ნახევარი საათის განმავლობაში გაჰყვირის: „გაუმარჯოს „ტორინოს!“

ეს პიროვნება ვინმე პიეტრო პოლინო გახლავთ, ფეხბურთში იტალიის ჩემპიონის „იუვენტუსის“ გულშემატკივარი. პოლინომ ნაძლევი დადო, რომ „იუვენტუსი“ მოუგებდა თავის მეტოქეს.

რაკი ნაძლევი წააგო („იუვენტუსი“ კატასტროფულად დამარცხდა — 0:4), პოლინო მოვალეა „ტორინოს“ პატივსაცემად ასეთი საზეიმო შეძახილებით იაროს ქალაქში.



ტერიტორიული უპირატესობა

◆

ნახატი რ. სანადირაძისა.



უსიტყვოდ... (შვეიცარია).

იცით თუ არა თქვენ

რა სიმაღლისაა იალბუზის უმაღლესი, დასავლეთი მწვერვალი?

საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება დაუფიქრებლად და მტკიცედ გვიპასუხოს, რომ ამ მწვერვალის სიმაღლეა ზღვის დონიდან 5633 მეტრი.

მაგრამ აი, მაგალითად, სპორტის ოსტატი, მთამსვლელი სანდრო გვალია სულ სხვა აზრისაა. იგი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მწვერვალის სიმაღლე 5640 მეტრია, და რომ ყველა დღემდე არსებული შესაბამისი ცნობარი, რომელმაც მკითხველი შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს, დაუყოვნებლივ შესწორებას მოითხოვს.

... ეს მოხდა 1935 წელს. იმ წლის გაზაფხულიდან გაიშალა საექსპედიციო სამუშაოები მაღალმთიანი სატრიანგულაციო ქსელის გასაყვანად. საქმეს ხელმძღვანელობდა ცნობილი გეოდეზისტი-მარკშაიდერი, პოლკოვნიკი ს. გელაშვილი.

ამ სამუშაოს ერთ წელიწადში დასამთავრებლად, განსაკუთრებით კი მისი პირველი, მოსამზადებელი ეტაპის შესასრულებლად ცნობილი მთამსვლელები მიიწვიეს. ყველაზე რთულ უბანზე — იალბუზის დასავლეთ მწვერვალზე I კლასის სატრიანგულაციო ნიშანსვეტის ატანა და დადგმა ს. გვალიას ჯგუფს დაეკისრა.

ის ნიშანსვეტი, რომელიც სანდრომ და მისმა ჯგუფის წევრებმა ნაწილ-ნაწილ აიტანეს მწვერვალზე და იქ ააწყვეს, სიმაღლით 7 მეტრი გამოდგა. იგი ახლაც დგას იალბუზის მწვერვალზე. ოღონდ ესაა, წლების მანძილზე თანდათან თოვლით დაიფარა და ჩაიყინა, მწვერვალის თავის ფორმაც თანდათან შეიცვალა, ამაღლდა.

მოდი და ამის შემდეგ ნუ დაიჯერებ, რომ სანდრო გვალიამ დაამყარა გაუგონარი და დაუჯერებელი მსოფლიო რეკორდი: იალბუზი 7 მეტრით ასწია!

ბინძური აზრები...

1. „პროფესიული ჰოკეი არის თამაში, სადაც უხეშობა დიდ და აუცილებელ ხელოვნებას წარმოადგენს“.

2. „ჩემი სხეული თავით ფეხამდე ზრამებითაა დაფარული, მაგრამ მეც დავტოვე სამახსოვრო კვალი ლიგის ყველა მოთამაშის ტანზე“.

3. „ამერიკული სპორტის ჭეშმარიტი დანიშნულება ახალგაზრდობის ომისთვის მომზადებაშია“.

... და მათი ავტორები

1. ამერიკული ჟურნალი „ლაიფი“.

2. ტ. კობი, ამერიკელი ბეისბოლისტი.

3. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი.

რეშევსკი და გენერალი

1915 წელს ევროპაში სპორტისთვის არავის ეცალა — პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. გაზეთები სამხედრო ოპერაციების აღწერით იყო სავსე. იქნებ ბევრმა არც მიაქცია ყურადღება ცნობას, რომ პოლონეთის ქალაქ ოზერკოვში გამოჩნდა ოთხი წლის ბიჭი ს. რეშევსკი, რომელიც ყველას უგებდა ჭადრაკს. ბავშვმა ერთდროული თამაშის სეანსები გამართა და აქაც ისახელა თავი.

და აი, ომმა რეშევსკის ქალაქამდეც მიაღწია — ოზერკოვი გერმანელებმა დაიკავეს.

— შემოვიდნენ თუ არა გერმანელები, — გვიამბობს რეშევსკი, — მათმა გენერალმა ჩემთან შეხვედრა მოისურვა — მას ბევრი რამ გაეგო ერთდროული თამაშის სეანსების შესახებ. მიმიყვანეს შტაბში. გენერალი ჭადრაკის დიდი მოყვარული აღმოჩნდა და თამაში შემომთავაზა. პირველი პარტია სწრაფად წააგო. ეს შემთხვევით მოხდაო, თქვა. ვითამაშეთ მეორე — ისევ წააგო. დავიწყეთ მესამე პარტია — შედეგი იგივე იყო. გენერალი ძალიან გაბრაზდა, ძლივს იკავებდა თავს, ერთი წაგებაც და...

გამოსავალი სწრაფად მოვნახე. გენერალს ასე მივმართე: „ბატონო, ყველას თავისი საქმე აქვს. თქვენ იცით, როგორ უნდა უხელმძღვანელოთ ჯარს. მე კი, როგორც ხედავთ, ჭადრაკის თამაში ვიცი...“

გენერალს ეწყინა, მაგრამ თავი შეიკავა — რაც უნდა ყოფილიყო, განთქმული „ვუნდერკინდი“ გახლდით. ასე დამთავრდა გენერალთან ჩემი ერთადერთი შეხვედრა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04282